The Almanac „Tsda“ in the Context of Georgian Pedagogical Thought and National Education in the Late XIX Century

Abstract

The article examines the historical and pedagogical significance of the almanac “Tsda” in the Georgian educational context of the late XIX century. Its aim is to highlight the contribution of the teachers of the Kutaisi Noble School to the development of Georgian pedagogical thought, based on materials published in the almanac. The article analyzes historical, literary, pedagogical, and translation materials published in the almanac between 1889 and 1891. Their examination enables us to identify the almanac’s educational and social purpose and to explore how educational activities were connected with the development of national culture and public consciousness. The study demonstrates that the almanac “Tsda” viewed education not merely as a means of transmitting knowledge, but also as an important means of fostering national self-awareness, historical memory, and moral values. Thus, the almanac represents an important historical and pedagogical source for studying Georgian education and pedagogical thought in the late XIX century.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

პედაგოგიკა Pedagogic

დაკვირვება და მონაცემების შეგროვება სკოლამდელ ასაკში

იაგორ ბალანჩივაძე, ბაია ბალანჩივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge;
baiabalanchivazde@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.19
SJIF 2026: 8.679

სტატიაში საუბარია თუ როგორ მიმდინარეობს დაკვირვება და მონაცემების შეგროვება სკოლამდელ ასაკში. ბავშვზე დაკვირვება უკეთ გაცნობთ ბავშვის ხასიათს, თვისებებსა თუ საჭიროებებს. მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ორი პროცესი: მონაცემთა შეგროვება და გ) მონაცემთა შეფასება. პირველი არის ობიექტური დაკვირვების გზით შეგროვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ხოლო მეორე მოიცავს შეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამის დასკვნებს. ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების დაგეგმვა, რომლის დროსაც აღმზრდელ-პედაგოგი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამის მეთოდებს არჩევს.

ინფორმაციის შეგროვების და დაკვირვების ორი მეთოდი არსებობს: ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. არაფორმალური მეთოდებია კითხვარები, ცხრილები, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვება, ჩანაწერების წარმოება, ბავშვების ნამუშევრების ნიმუშების შეგროვება, მშობლებთან ინტერვიუ, ბავშვებთან საუბარი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტოები.

დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება არსებობს. პირველი, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე, რა გაინტერესებს, რისი დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი.

ადრეული განათლების პროგრამებში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად. ესენია: ჩანაწერები (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), კითხვარები (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), ცხრილები (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), ბავშვების ნამუშევრები (მაგ. ნიმუშები, ნახატები), ფოტოსურათები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მშობლებთან ინტერვიუ მონაცემების შესაგროვებლად.

ბავშვებზე დაკვირვებითა და მონაცემების შეგროვებით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, რომლებიც მნიშვნელოვანია შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის. ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ მიღებული ინფორმაცია გვაძლევს სრული სურათის დანახვის საშუალებას. პროცესის გაანალიზების შემდეგ ვიცით, რა ტიპის აქტივობები, რესურსები შევთავაზოთ ბავშვებს მათი შემდგომი განვითარებისთვის. ჩვენს მიერ დაგეგმილი აქტივობების, მასალების, ინტერაქციის პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ კვლავ ვაგრძელებთ ბავშვებზე დაკვირვებას და ვგებულობთ, რამდენად წარმატებულია დაგეგმილი პროცესი და პასუხობს თუ არა ის ბავშვების საჭიროებებს. ეს ეტაპიც შეფასებით სრულდება, შემდგომი კი კვლავ იგეგმება, რაც ნიშნავს, რომ ეს მუდმივი და შრომატევადი პროცესია.

საკვანძო სიტყვები: დაკვირვება, შეფასება, შეგროვება, ფორმალური, არაფორმალური, ჩანაწერები, კითხვარები, ინტერვიუ.

სააღმზრდელო პრაქტიკაში დაკვირვებასა და მონაცემთა შეგროვებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ორი პროცესი: ა) **მონაცემთა შეგროვება** და ბ) **მონაცემთა შეფასება**. **მონაცემთა შეგროვება** ეს არის ობიექტური დაკვირვების გზით შეგროვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ბავშვებზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს, დასკვნებს, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს. **მონაცემთა შეფასების** პროცესი მოიცავს შეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამის დასკვნებს, რომელიც გამოიყენება შემდგომი დაკვირვების ან პრაქტიკული საქმიანობის დასაგეგმად. ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების **დაგეგმვა**, რომლის დროსაც აღმზრდელ-პედაგოგი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამის მეთოდებს არჩევს. თუმცა, ყოველდღიურ პრაქტიკაში დაუგეგმავადაც აწყდება აღმზრდელ-პედაგოგი მრავალ ფაქტს, რომელთა ჩაწერა და დაფიქსირება მნიშვნელოვანია.

ინფორმაციის შეგროვების და დაკვირვების ორი მეთოდი არსებობს: ***ფორმალური*** და ***არაფორმალური***. ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ რამდენად ხდება პირობების კონტროლი მათი გამოყენებისას. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს და გაწაფვას, რათა მონაცემთა აღება წინასწარ შემუშავებული ფორმით ხდებოდეს. ასეთივე სპეციალიზება სჭირდება ფორმალური მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას.

ადრეული განათლების სპეციალისტები **არაფორმალური** დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების მეთოდებს იყენებენ. ასეთი მეთოდები შედარებით მარტივი გამოსაყენებელია და უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის დაგეგმვას. არაფორმალური მეთოდებია კითხვარები, ცხრილები, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვება, ჩანაწერების წარმოება, ბავშვების ნამუშევრების

ნიმუშების შეგროვება, მშობლებთან ინტერვიუ, ბავშვებთან საუბარი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტოები.

დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევა. არსებობს მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება. პირველი, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე, რა გაინტერესებს, რისი დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი.

მაგალითად, თუ გაინტერესებს განვითარების ერთერთ სფეროზე დაკვირვება, მაშინ შესაძლებელია კითხვარი უფრო მისაღები იყოს, სადაც დეტალურად იქნება ამ სფეროს განვითარების ინდიკატორები და მისი შემადგენელი ქცევები მოცემული. თუ ერთ კონკრეტულ ქცევაზე ან უნარზე გეგმავ დაკვირვებას, მაშინ უფრო ფოკუსირებული დაკვირვება გამოგადგება და მეტი თვისობრივი ინფორმაციის ჩაწერა იქნება პროდუქტიული.

აღმზრდელმა ბავშვების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად სხვადასხვა მეთოდი უნდა გამოიყენოს. მათი გამოყენება უფრო ობიექტური და მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებაში დაგეხმარებათ. ასევე, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება ამცირებს შეცდომის ალბათობას მიღებული იფნორმაციის ინტერპრეტაციის და შეფასების დროს.

წლის დასაწყისში მნიშვნელოვანია **პირველადი მონაცემების** შეგროვება. ამ მონაცემებს თითოეულ ბავშვთან გამოიყენებთ. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის გააზრება და დაშვება, რომ ყველა ერთი ასაკის ბავშვი არ არის ერთნაირი, რომ არსებობს განსხვავებები განვითარებაში და განვითარების დინამიკაში. განსხვავებას განაპირობებს ასევე კულტურა, ეკონომიური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, რომელიც აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამრიგად, პირველადი მონაცემების შეგროვებისა და დაკვირვების მიზანია ჯგუფის თითოეული ბავშვის შესახებ ზოგადი სურათის შექმნა. პირველადი მონაცემების შეგროვებისას უნდა გაიგოთ რაც შეიძლება მეტი ბავშვების შესახებ. ზედმიწევნით შეისწავლეთ თითოეული ბავშვის პირადი მონაცემები. განიხილეთ ოჯახური მდგომარეობის დოკუმენტი. წაიკითხეთ წინა აღმზრდელის ჩანაწერები მშობლებთან შეხვედრების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შესაძლებელია ესტუმრეთ სახლში. მშობლებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ. მშობლებს შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაცია მოგაწოდოთ თავიანთი შვილის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ.

პირველადი მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა აწარმოოთ **მიმდინარე** დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება როგორც ინდივიდუალურ ბავშვზე, ისე მთელ ჯგუფზე. ერთი დაკვირვება და ინფორმაციის ერთჯერადად შეგროვება არ მოგცემთ საკმარის და ზუსტ მონაცემებს თავისებურებების, უნარებისა თუ შესაძლებლობების შესახებ. მიმდინარე დაკვირვებას და მონაცემების შეგროვებას უფრო მეტი დრო სჭირდება, მაგრამ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იძლევა. შესაბამისად დოკუმენტირებული მიმდინარე მონაცემები თითოეული ბავშვის დროში ცვლილებასა და პროგრესს უნდა ასახავდეს. ეს მონაცემები წარმოადგენს მტკიცებულებას ბავშვის სწავლისა და განვითრების შესახებ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ მიიღოთ სწორი

გადაწყვეტილება როგორ გაამდიდროთ ან მოდიფიცირება გაუკეთოთ პროგრამას და გარემოს მაშინ, როდესაც ეს საჭიროა.

მონაცემების შეგროვება შეგიძლიათ სააღმზრდელო პროცესის ნებისმიერ დროს. დააკვირდით ბავშვებს, როდესაც მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე და თამაშობენ. მოუსმინეთ, როდესაც ბავშვებო ყვებიან ამბებს ან საუბრობენ. დააკვირდით, როდესაც აწყობენ ფაზილს, ან აშენებენ კუბებით. ყურადღებით იყავით თავისუფალი თამაშის დროს. გააკეთეთ ჩანაწერები ბავშვებზე. ბავშვები თავიანთ პიროვნულ და განვითარების თავისებურებებს განსაკუთრებით თავისუფალი თამაშის დროს ავლენენ.

დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები. ადრეული განათლების პროგრამებში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად. ესენია: **ჩანაწერები** (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), **კითხვარები** (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), **ცხრილები** (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), **ბავშვების ნამუშევრები** (მაგ. ნიმუშები, ნახატები), **ფოტოსურათები**, **აუდიო და ვიდეო** ჩანაწერები. აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ **მშობლებთან ინტერვიუ** მონაცემების შესაგროვებლად.

განვიხილოთ თითოეული არაფორმალური მეთოდი. **ჩანაწერები** პირდაპირი დაკვირვების მარტივი ფორმაა. **შემთხვევის ჩანაწერი** კონკრეტული ინციდენტის მოკლე, ნარატიული ჩანაწერია, რომელიც ხშირად გამოიყენება ბავშვის ქცევის გასაგებად. ეს ჩანაწერი არ საჭიროებს ცხრილებს ან სპეციფიურ ფორმას, ჩარჩოს. ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერ გარემოცვაში და არ საჭიროებს სპეციფიური უნარების გაწაფვას. რაც გჭირდება ეს არის ქაღალდი, საწერი კალამი და ფაქტების ობიექტური ჩაწერა. ეს ჩანაწერი მოკლე მოთხრობას გავს, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა და დასასრული. შემთხვევის ჩაწერა საჭიროებს დაკვირვებულ თვალს და სწრაფი ჩაწერის უნარს, რომ დეტალები დაფიქსირდეს. ამ დროს უნდა ჩაიწეროთ თუ ვინ არის ჩართული, რა, როდის და სად ხდება. ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სწრაფად და აკურატულად.

დაკვირვების ნარატიული ფორმის გამოყენებისას აღმზრდელის თვალები და ყურები ვიდეო კამერის ფუქნციას უნდა ასრულებდეს. ჩანაწერები იმ სურათს უნდა აღწერდეს, რასაც ხედავ, თამაშის, მუშაობის და ინტერაქციის დროს. უნდა ჩაიწეროთ თუ როგორ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვები, როგორ გამოიყურებიან, რას აკეთებენ, როგორია მათი ჟესტები და მოძრაობები. ასევე იწერება მათი ურთიერთობა სხვა ბავშვებთან, უფროსებთან, მასალებთან. უნდა ჩაიწეროთ რაც შეიძლება მეტი დეტალი.

მიმდინარე ჩანაწერის დროს იგივე ტექნიკა გამოიყენება, რაც შემთხვევის, ინციდენტის ჩაწერისას. ეს არის ფაქტობრივი, დეტალური, წერილობითი ანგარიში რაღაც დროის მონაკვეთზე. მოქმედებები აღწერილია, ფრაზები ციტირებული და მოცემულია რაც შეიძლება მეტი დეტალი. კომენტარები და ინტერპრეტაცია ჩაწერილის შესახებ ცალკეა მოცემულია და არ არის შერეული ანგარიშთან. მიმდინარე ჩანაწერის დროს დამკვირვებელი აკვირდება და იწერს რაღაც ერთ დროის მონაკვეთს და ფოკუსირებას ახდენს ან ერთ ბავშვზე, ან ერთ სათამაშო არეალზე. მიმდინარე ჩანაწერი ჩვეულებრივ იწერება მოვლენის პარალელურად, ხოლო შემთხვევის, ინციდენტის ჩანაწერი ამ მნიშვნელოვანი შემთხვევის შემდეგ მალევე. შემთხვევის

ჩანაწერი პატარა მოთხრობის მსგავსია, დასაწყისით, შუით და დასასრულით. მიმდინარე ჩანაწერი კი შერეულია და გვაძლევს ობიექტურ, წუთიერ შთაბეჭდილებას გარკვეული დროის სეგმენტზე. იწერება ყველაფერი, რაც ამ დროის მონაკვეთში ხდება. რაღაც პერიოდის შემდეგ ჩანაწერი წყდება. ეს არ არის აუცილებელი მოხდეს მოვლენის დასრულების დროს. ეს პროცესი დროის რაღაც მონაკვეთში ვიდეო კამერის ჩართვა გამორთვას ჰგავს.

მიმდინარე ჩანაწერი საჭიროებს ძლიერ კონცენტრაციას და ყურადღების ფოკუსირებას. მიმდინარე ჩანაწერი გამოიყენება ქცევის ან ქცევების დეტალურად ასაღწერად დროის ერთ მონაკვეთში, ერთ ბავშვზე დასაკვირვებლად. მიმდინარე ჩანაწერების გამოყენება შეიძლება განვითარების ყველა სფეროს გასაანალიზებლად. მაგ. ფიზიკური, სოციალური, ემოციური, მეტყველება, საკუთარ თავზე წარმოდგენა, ყურადღების კონცენტრაცია, პრობლემის გადაჭრის უნარები, მეხსიერება, სწავლების სტილი. მიმდინარე ჩანაწრები ოთახის რომელიმე სივრცის შესწავლაში დაგეხმარებათ - თუ რა ხდება ჩვეულებრივ რომელიმე სათამაშო სივრცეში ან არეალში.

ჟურნალი. ჟურნალში ხდება დღის განმავლობაში სპეციფიური, მოკლე ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. გამოიყენება ერთი ქცევის ან უნარის დასაკვირვებლად ყველა ბავშვთან.

ჩვეულებრივ აღმზრდელს ახსოვს ძლიერი შთაბეჭდილებები ყოველდღიური პრაქტიკიდან. ჟურნალი ეხმარება აღზრდელს ყველა ბავშვზე გააკეთოს მოკლე ჩანაწერი ერთი კატეგორიის ინფორმაციაზე. ეს მეთოდი შეგიძიათ გამოიყენოთ მთელი ჯგუფის კონკრეტულ უნარზე დასაკვირვებლად მაგ. მაკრატლის გამოყენება, ან რომელიმე მსხვილი მოტორული უნარი, მათმატიკური წარმოდგენა, წიგნიერება, ხატვა.

კითხვარები. მონაცემების შეგროვების მეორე ფორმაა კითხვარები, სადაც მოცემულია ქცევების და უნარების ნუსხა, რომელიც გაერთიანებულია ან განვითარების ზოგადი სფეროების (მოტორიკა, მეტყველება, სოციალური და ა.შ.), ქვესფეორების (პროსოციალური, სოციალური თამაში), და/ან შინაარსობრივი თემატიკის (წერა, წარმოსახვა, წიგნიერება, შემოქმედება) ქვეშ. კითხვარებია ჩეკლისტები და რეიტინგული სკალები.

ჩეკლისტები გამოიყენება სპეციფიური ქცევის, თვისების არსებობის ან არარსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარზე და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიური ქცევების ნუსხას, რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა/არ არსებობას. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის. ჩეკლისტის მოფიქრება და შედგენა შესაძლებელია განვითარების ნებისმიერ სფეროზე - ფიზიკური, სოციალური, ემოციური, და კოგნიტური. კარგად მოფიქრებული ჩეკლისტი ბევრ ინფორმაციას გვაძლევს ბავშისა და ჯგუფის შესახებ.

ჩეკლისტების მოფიქრება და შედგენა ხდება ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის გამოსაკვლევად. სამიზნე ქცევები ლოგიკური თანმიმდევრობით არის ჩამოწერილი და ერთნაირი საკითხები

დაჯგუფებულია. შესაბამისად, სწრაფად შეგიძლიათ აღნუსხოთ ქცევების/ინდიკატორების არსებობა ან არ არსებობა.

შესაძლებელია ჩეკლისტების ყიდვა. აღზმრდელები თავადაც აკეთებენ. ბავშის განვითარების საფეხურები შეიძლება გადაკეთეს როგორც ჩეკლისტი და გამოიყენო ინდივიდუალური ბავშვის ან ჯგუფის შესაფასებლად.

რეიტინგული სკალები ჩეკლისტების მსგავსია, რომლის მიზანი სპეციფიური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. მაგრამ ამ დროს შეიძლება ობიექტურობა დაირღვეს დამკვირვებლის შეხედულებისამებრ.

ბავშვებზე დაკვირვებითა და მონაცემების შეგროვებით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, რომლებიც მნიშვნელოვანია **შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის**. ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვაფასებთ მათ, რაც გვაძლევს სრული სურათის დანახვის საშუალებას. პროცესის გაანალიზების შემდეგ ვიცით, რა ტიპის აქტივობები, რესურსები შევთავაზოთ ბავშვებს მათი შემდგომი განვითარებისთვის. ჩვენს მიერ დაგეგმილი აქტივობების, მასალების, ინტერაქციის პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ კვლავ ვაგრძელებთ ბავშვებზე დაკვირვებას და ვიგებთ, რამდენად წარმატებულია დაგეგმილი პროცესი და პასუხობს თუ არა ის ბავშვების საჭიროებებს. ეს ეტაპიც შეფასებით სრულდება, შემდგომი კი კვლავ იგეგმება, რაც ნიშნავს, რომ ეს მუდმივი და შრომატევადი პროცესია.

ლიტერატურა:

1. გორგაძე ნათია - „ბილინგვური განათლების შეფასების გზამკვლევი“. თბილისი, 2020წ.
2. დოლიძე ხათუნა, ცინცაძე ნინო, კუხალეიშვილი თამთა, ჯიჯავაძე ნინო, ბალანჩივაძე იაგორ, გრიგოლია ირმა, აბაკელია ნუგზარ - ,,ბაგა-ბაღის აღზმრდელი პედაგოგის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2015წ.
3. დოლიძე ხათუნა, ბაქრაძე თამარ, ჯიჯავაძე ნინო - ”ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, თბილისი 2020წ.
4. ნიაური ნათია - ,,სკოლამდელი ბავშვის ასაკის შეფასების ფორმა“ 2011წ.
5. როლუნიდი გეი, ჯეიმსი მერლინ - „ფოკუსირებული დაკვირვება“ როგორ დავაკვირდეთ ბავშვებს შეგასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისას. თბილის, 2013 წ
6. საიფერი სტეფენ, ბალანჩივაძე იაგორ, ბაქრაძე თამარ, გაბისონია თამარ, ლაბარტყავა ნინო, ფრუიძე ნინო, ლორია თამარ - ,,სასკოლო მზაობის პროგრამა, თამაში სწავლისა და განვითარებისთვის, აღზმრდელის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2015წ.
7. Riley-Ayers, Shannon, Judi Stevenson-Garcia, Ellen Frede, and Kimberly Brenneman. The Early Learning Scale Guidebook. Carson, CA: Lakeshore Learning, 1011.
8. Snow, Kyle P. Developing Kindergarten Readiness and other Large-Scale Assessment Systems: Necessary Considerations in the Assessment of Young Children. Washington, DC: National. Association for the Education of Young Children, 2011

Iagor Balanchivadze, Baia Balanchivadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge;
baiabalanchivazde@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.19
SJIF 2026: 8.679

Observation and Data Collection in the Preschool Years

Abstract

The article discusses how observation and data collection are conducted during the preschool years. Observing a child provides a better understanding of their character, traits, needs. It is important to distinguish between 2 processes: a) data collection and b) data assessment. The former consists of information about the child that is gathered through objective observation and documented while the latter involves the synthesis, interpretation and analysis of the collected data, as well as the drawing of appropriete conclussions. There is anopther important stage in this process – planning for observation and data collection – during which the educator defines the subject to be observed and selects the appropriate methods.

There are 2 methods for gathering information and conducting observations: formal and informal.

Through observing children and collecting data, we gather information that is essential for assessment and curriculum planning. By analyzing this process, we can determine which types of activities and resources to offer the children to support their further development.

Keywords: observation, assessment, collectio, formal, informal, records, questionnaires, interview.

რეცენზენტი: პროფესორი ალექსანდრე როვენკო

პედაგოგიკა Pedagogic

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების უწყვეტი ციკლი სკოლამდელიდან უმაღლეს განათლებამდე

საბავშვო ბაღის, სკოლისა და უნივერსიტეტის კოორდინირებული თანამშრომლობა

შორენა ტყემალაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: Shorena.tkemaladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.20
SJIF 2026: 8.679

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების უწყვეტ ციკლს სკოლამდელიდან უმაღლეს განათლებამდე. სტატიაში განხილულია საბავშვო ბაღის, სკოლისა და უნივერსიტეტის კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობა ღირებულებების, ემპათიის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში. გაანალიზებულია განვითარების ფსიქოლოგიისა და ნეიროპედაგოგიკის როლი ადრეულ ასაკში დემოკრატიული პრინციპების ემპირიულად შესწავლაში, აგრეთვე ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე არსებულ გამოწვევებსა და ტრანსფორმაციის გზებს პესტელის (PESTEL) ანალიზის გამოყენებით. წარმოდგენილია სისტემური ხარვეზების კუმულაციური ეფექტი პიროზითი პერსონაჟის (ლუკას) მაგალითზე, რაც ცხადყოფს, რომ დემოკრატიული კომპეტენციები წარმოადგენს არა ცალკეულ საგანს, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში გასავლელ ცხოვრების წესს.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული კულტურა, განათლების უწყვეტი ციკლი, სკოლამდელი აღზრდა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა, კრიტიკული აზროვნება, მედიაწიგნიერება.

დღეს, როდესაც სამყარო მრავალმხრივი და რთული გამოწვევების წინაშე დგას, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება აღარ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ საგანმანათლებლო არჩევანს. ღირებულებების, ემპათიის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება არის ერთიანი, უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესი. ეს გზა იწყება სკოლამდელ ასაკში პირველივე სოციალური კონტაქტებითა და თამაშით, გრძელდება სასკოლო გარემოში ტოლერანტობისა და

მედიაწიგნიერების განმტკიცებით და კულმინაციას აღწევს უმაღლეს განათლებაში — აკადემიურად თავისუფალი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ფორმირებით.

ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი (RFCDC) გვაძლევს უნიკალურ ინსტრუმენტს, რათა ეს პროცესი ვაქციოთ რეალურ ცხოვრების წესად განათლების ყველა საფეხურზე. დღეს ჩვენი განათლების სფეროს კომპლექსური გამოწვევაა, რომ ბაღის აღმზრდელ-პედაგოგმა, სკოლის მასწავლებელმა და უნივერსიტეტის პროფესორმა დაინახონ საერთო კოორდინირებული მიზანი ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში.

განვითარების ფსიქოლოგიისა და ნეიროპედაგოგიკის ჭრილში, ადრეულ ასაკში ბავშვები დემოკრატიულ პრინციპებს სწავლობენ არა ვერბალური დეკლარაციებით ან აბსტრაქტული თეორიებით, არამედ ემპირიულად სხეულით, სენსორული გამოცდილებით, თამაშითა და ქცევითი მოდელირებით.

სიტუაცია: ჯგუფში არის მხოლოდ ერთი სათამაშო მანქანა, ხოლო ბავშვი გაცილებით მეტი. აღმზრდელი იძლევა არა მზა დირექტივას, არამედ სვამს კითხვას: *„როგორ მოვიქცეთ, რომ ყველამ ითამაშოს და არავინ მოიწყინოს?“*

ბავშვები თავად იგონებენ წესს (მაგ. რიგრიგობით თამაში ან ქვიშის საათის დაყენება). როდესაც ბავშვი მონაწილეობს წესის შექმნაში, მისი დაცვის მოტივაცია მაღალია. დილის წრეზე ბავშვები ემოციების ბარათებით ირჩევენ თავიანთ განწყობას, ხოლო ზღაპრის კითხვისას აღმზრდელი სვამს კითხვას: *„რას გრძნობს პერსონაჟი და როგორ დავეხმაროთ მას?“* ჯგუფში წახალისებულია თანაგრძნობის გამოხატვა, სათამაშოს გაზიარება, ემპათია და ნუგეში.

ბავშვები სწავლობენ ორ უმნიშვნელოვანეს რამეს: უმრავლესობის გადაწყვეტილების პატივისცემას და უმცირესობაში დარჩენისას ემოციის მართვასა და წაგების მიღებას. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ პირდაპირ ავალდებულებს დაწესებულებებს ბავშვის უფლებების დაცვასა და ძალადობის აკრძალვას (მუხლი 6), დისკრიმინაციის აკრძალვასა და მრავალფეროვნების პატივისცემას, ინკლუზიურ განათლებასა და მშობელთა თანამონაწილეობით მართვას. ეს ქმნის სასკოლო მზაობას, სადაც ბავშვი სკოლაში მიდის თანამშრომლობის, ემოციური სტაბილურობისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უნარით.

სკოლის საფეხურზე ბაღში ჩაყრილი საძირკველი გადადის გააზრებულ სამოქალაქო მონაწილეობაში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები გვავალდებულებს დემოკრატიული პრინციპების მატარებელი, ტოლერანტი, სამართლიანი და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდას. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი პირდაპირ მოითხოვს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების სტრატეგიების გამოყენებას. ეროვნული სასწავლო გეგმა სამიზნე ცნებებითა და შემოქმედებითი პროექტული დავალებებით უზრუნველყოფს ამ უნარების პრაქტიკაში გაცოცხლებას.

სწავლების სტრატეგიები მოქნილი და მოსწავლის ინტერესებზე მორგებული უნდა იყოს:

- დისკუსიები და სტრუქტურირებული დებატები;
- სასწავლო პროცესის აგება მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარებასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლაზე;
- კლუბურ მუშაობასა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტიან მონაწილეობაზე პრიორიტეტის მინიჭება;
- სასკოლო და სათემო პროექტების ინიცირება და მხარდაჭერა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთავარი აქცენტი გადადის აკადემიურ თავისუფლებაზე, ეთიკურ პასუხისმგებლობასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაზე.

მაგალითი: სხვადასხვა ფაკულტეტის (ბიზნესი, ტექნოლოგიები, ეკონომიკა) სტუდენტები ერთიანდებიან და ქმნიან პროექტს, მაგალითად: ელექტრონული ნარჩენების სეპარირების მოდელს ან ქაღალდის რეციკლირების სოციალურ საწარმოს. ეს პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ხელშეწყობას. სტუდენტები თავიანთ პროფესიულ ცოდნას უშუალოდ უკავშირებენ საზოგადოებრივ სიკეთეს.

4. PESTEL ანალიზი: გარემო ფაქტორების ტრანსფორმაცია

დემოკრატიული კომპეტენციების ტრანსფორმაციისთვის საჭიროა გარემო ფაქტორების გააზრება PESTEL ჩარჩოს გამოყენებით:

ფაქტორი	რეალობა და გამოწვევა	ტრანსფორმაციის გზა
P – პოლიტიკური	საფეხურებს შორის ერთიანი ხედვის ფრაგმენტაცია.	ჰოლისტური პოლიტიკა: 20-ვე კომპეტენციის ასახვა ყველა საფეხურის სტანდარტში.
E – ეკონომიკური	მეთოდოლოგიური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის არათანაბარი გადანაწილება.	თანასწორი საგანმანათლებლო სივრცეებისა და რესურსების შექმნა.
S – სოციალური	სტიგმები, სტერეოტიპები და ბულინგი.	ინკლუზიური კულტურა, ტოლერანტობა და მრავალფეროვნების პატივისცემა ადრეული ასაკიდან.
T – ტექნოლოგიური	დეზინფორმაცია, ყალბი ამბები და კიბერბულინგი.	მედიაწიგნიერება და საინფორმაციო ჰიგიენა კურიკულუმში.
E – გარემოსდაცვითი	ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ნაკლებობა.	მწვანე სივრცეები, ეკო-კლუბები და საინფორმაციო კამპანიები.
L – სამართლებრივი	კანონმდებლობის ფრაგმენტულობა საფეხურებს შორის.	მონაწილეობითი სამართალი: უფლებების გაცოცხლება (ბავშვის ხმა, მშობელთა გაერთიანებები).

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების არარსებობა საგანმანათლებლო სისტემაში არის სახელმწიფოებრივი რისკი. იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ, თუ როგორ გარდაიქმნება ადრეული ასაკიდან დაშვებული მცირე შეცდომები მასშტაბურ სამოქალაქო კრიზისად, განვიხილოთ პირობითი პერსონაჟის - ლუკას ცხოვრების გზა.

1. **სკოლამდელი საფეხური:** ლუკას სოციალიზაცია იწყება საბავშვო ბაღში, სადაც დემოკრატიული ღირებულებების ნაცვლად დამკვიდრებულია ავტორიტარული მიდგომა (*„დაჯექი, იმიტომ რომ მე ასე გითხარი!“*). ეს ადგენს უსიტყვო მორჩილებისა და

შიშის პრეცედენტს. ლუკას ინიციატივა ითრგუნება და ის სწავლობს, რომ საკუთარი ხმა არაფერს წყვეტს.

2. **სასკოლო საფეხური:** სკოლაში ლუკა ხვდება სისტემაში, სადაც მთავარი ორიენტირი ტექსტების მექანიკური დაზეპირება და ქულებია. მას არ ასწავლიან ფაქტების გადამოწმებას, კრიტიკულ აზროვნებასა და ემპათიას, რის გამოც მოწყვლადი ხდება დეზინფორმაციისა და კიბერბულინგის მიმართ.
3. **უმაღლესი საფეხური:** უნივერსიტეტში ლუკა ისმენს ფორმალურ, თეორიულ ლექციებს. თანამშრომლობისა და გუნდური პროექტების ნაცვლად მყარდება კონკურენცია, ფართოვდება პლაგიატი და ფორმალიზმი. ლუკა უნივერსიტეტს ტოვებს მხოლოდ დიპლომით, პრაქტიკული სამოქალაქო კომპეტენციების გარეშე.

პირად დონეზე ლუკა ყალიბდება ტიპურ კონფორმისტად შინაგანი მორალური კომპასის გარეშე. სამოქალაქო დონეზე ხდება პოლარიზებული საზოგადოების ნიჰილისტი წევრი, რომელსაც სჯერა, რომ მისი ხმა არაფერს ცვლის.სახელმწიფო დონეზე მილიონობით ლუკასგან შემდგარი საზოგადოება ხდება მოწყვლადი ჰიბრიდული ომების, პროპაგანდისა და ანტიდემოკრატიული ძალების ზემოქმედების მიმართ.

ლუკას ისტორია ცხადყოფს, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები არ არის ერთჯერადად შესასწავლი საგანი ეს არის ცხოვრების წესი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაღი უზრუნველყოფს მონაწილეობასა და ემპათიას, სკოლა განავითარებს კრიტიკულ აზროვნებასა და მედიაწიგნიერებას, ხოლო უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს აკადემიურ თავისუფლებასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას, შევძლებთ ჯანსაღი, დემოკრატიული და ძლიერი საზოგადოების მშენებლობას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2018). *ეროვნული სასწავლო გეგმა (III თაობა).* თბილისი.
2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. *მოქალაქეობის საგნობრივი სტანდარტი.*

Shorena Tkemaladze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: Shorena.tkemaladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.20
SJIF 2026: 8.679

Coordinated Cooperation among Kindergarten, School, and University

Abstract

This paper is dedicated to the continuous cycle of developing democratic culture competences from preschool to higher education. It discusses the importance of coordinated cooperation among kindergartens, schools, and universities in fostering values, empathy, civic responsibility, and critical thinking. The author analyzes the role of developmental psychology and neuropedagogy in the empirical learning of democratic principles at an early age, as well as the challenges and transformation pathways across general and higher education levels using PESTEL analysis. The paper clearly illustrates the cumulative effect of systemic flaws through the case study of a hypothetical character (Lukas), demonstrating that democratic competences are not merely a standalone subject, but a lifelong way of life.

Keywords: Democratic culture, continuous education cycle, preschool education, civic responsibility, critical thinking, media literacy.

პროფესორი ლელა თავდგირიძე

პედაგოგიკა Pedagogic

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის როლი ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერებაში

ინტერდისციპლინური მიდგომები, ინოვაციური პრაქტიკა და აკადემიური ქსელი CRANG-ი

ნატო ქობულაძე, შორენა ტყემალაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: nato. kobuladze@atsu.edu.ge
Shorena.tkemaladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.21
SJIF 2026: 8.679

ბავშვის უფლებების დაცვა თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების ფუნდამენტური მაჩვენებელია. გლობალურ და ეროვნულ დონეზე მიმდინარე საგანმანათლებლო და სოციალური რეფორმების პირობებში, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სპეციალიზებულ პლატფორმებსა და აკადემიურ ცენტრებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, არამედ პროფესიული და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. ამ პროცესში უნივერსიტეტებს ენიჭებათ განსაკუთრებული, სტრატეგიული პასუხისმგებლობა, როგორც კვლევით კერებსა და მომავლის პროფესიონალების მომზადების ძირითად სივრცეებს.

დღესდღეობით ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვს მულტიდისციპლინურ ჭრილში მუშაობას, სადაც იურიდიული, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური მეცნიერებები ერთობლივად აანალიზებენ არსებულ გამოწვევებს. იზოლირებული, უწყებრივი თუ დისციპლინური მიდგომები აღარ არის საკმარისი რთული სოციო-კულტურული და ინსტიტუციური ბარიერების დასაძლევად. შესაბამისად, უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო პარტნიორობისა და აკადემიური ქსელების ჩამოყალიბება ხდება სისტემური ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის უფლებები, უნივერსიტეტების თანამშრომლობა, CRANG ქსელი, ინტერდისციპლინური კვლევა, პროფესიული განვითარება.

საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის სისტემური გაძლიერების გზაზე მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს 2025 წელი, როდესაც UNICEF-ის (გაეროს ბავშვთა ფონდის) მხარდაჭერითა და ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ბავშვის უფლებათა აკადემიური ქსელი — CRANG (Child Rights Academic Network Georgia). აღნიშნულ ინტერდისციპლინურ ქსელში გაერთიანდა საქართველოს 12 წამყვანი უნივერსიტეტი. CRANG-ის ჩამოყალიბების ძირითად მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტების ბავშვის უფლებების ცენტრების შესაძლებლობების გაერთიანება, ინტერსიური აკადემიური თანამშრომლობა და

ბავშვის უფლებების, განათლების, სამეცნიერო კვლევების, საზოგადოებრივი ადვოკატირებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა. ქსელი ქმნის უნიკალურ პლატფორმას, სადაც აკადემიური სექტორი, სახელმწიფო სტრუქტურები, სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები კოორდინირებულად გეგმავენ და ახორციელებენ მაღალი გავლენის მქონე ინტერვენციებს.

CRANG-ის ფარგლებში შემუშავდა უნივერსიტეტებში მოქმედი ბავშვის უფლებების ცენტრების სამოქმედო გეგმები. ცენტრების ეფექტიანი და მდგრადი ფუნქციონირებისათვის **განისაზღვრა შვიდი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება:**

ინსტიტუციური და რესურსული შესაძლებლობების განვითარება

ბავშვის უფლებების ცენტრებისა და აკადემიური ქსელის ეფექტიანობის ფუნდამენტური საფუძველია ადამიანური, მატერიალური და ელექტრონული რესურსების მუდმივი განახლება. ეს გულისხმობს ცენტრის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო ბაზების გაძლიერებას, აგრეთვე ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციას სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორების ჩართულობით. ეფექტიანი შიდა მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამების გრძელვადიან დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. **ხარისხიანი ფორმალური განათლება ბავშვის უფლებებში**

ფორმალური განათლების სისტემური გაძლიერება მოითხოვს ბავშვის უფლებების სასწავლო კურსების ინტეგრირებას უმაღლესი განათლების სამივე აკადემიურ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). პრიორიტეტულია არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია, ინოვაციური პედაგოგიური მეთოდების — პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), შემთხვევის ანალიზისა (CBL) და ციფრული მოდულების — დანერგვა. ღია საგანმანათლებლო რესურსების შექმნა სტუდენტებს უვითარებს ადამიანის უფლებებისადმი სენსიტიურობას, კრიტიკულ აზროვნებასა და მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობას.

არაფორმალური განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება

ბავშვის უფლებების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების — პედაგოგების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, იურისტების, ჯანდაცვის პერსონალისა და მედიის წარმომადგენლების — უწყვეტი პროფესიული განვითარება კრიტიკულად აუცილებელია. ამ მიმართულებით იქმნება სპეციალიზებული, სერტიფიცირებული ტრენინგ-პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკოსთა ცოდნის პერიოდულ განახლებას, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შეთავსებასა და პრაქტიკული უნარების გაძლიერებას.

ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების წარმოება

სამეცნიერო კვლევა წარმოადგენს ბავშვის უფლებების სფეროს განვითარების ფუნდამენტურ საყრდენს. ქსელის პრიორიტეტია ეროვნული და საერთაშორისო აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირება, ინტერ-, მულტი- და ტრანსდისციპლინური კვლევების განხორციელება, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება და სტუდენტური კვლევითი პროექტების მხარდაჭერა. მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გენერირება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკის სწორ დაგეგმვასა და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღებას.

მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგში

აკადემიურ ცენტრებს ენიჭებათ ექსპერტული როლი ეროვნული სტრატეგიების, საკანონმდებლო ინიციატივებისა და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებაში. უნივერსიტეტების კვლევითი პროდუქტები გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს აწვდის მტკიცებულებებს, ხოლო მონიტორინგის პროცესებში ჩართულობა უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის მდგრად და გამჭვირვალე განხორციელებას.

ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობა აფართოებს კვლევებისა და ინტერვენციების მასშტაბს. აუცილებელია ერთობლივი საგრანტო პროექტების განხორციელება, UNICEF-თან, სახელმწიფო უწყებებთან, კერძო და სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო კოორდინაცია. საერთაშორისო აკადემიურ ქსელებთან ინტეგრაცია ხელს უწყობს საუკეთესო გლობალური პრაქტიკისა და ინოვაციების სწრაფ იმპორტს.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება

ბავშვის უფლებების დაცვა შეუძლებელია საზოგადოების ფართო მხარდაჭერისა და ჩართულობის გარეშე. სტრატეგია მოიცავს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიების წარმოებას, ციფრული და მედია არხების გამოყენებას, ახალგაზრდებთან, მშობლებთან და სკოლებთან აქტიურ კომუნიკაციას. ეს უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული, უსაფრთხო და მხარდამჭერი სოციო-კულტურული გარემოს ჩამოყალიბებას.

უნივერსიტეტი–საზოგადოება–სახელმწიფო პარტნიორობის მოდელი

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ბავშვის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემა ემყარება „უნივერსიტეტი–საზოგადოება–სახელმწიფო“ სამკუთხედ პარტნიორობას. უნივერსიტეტი ამ სამკუთხედში ასრულებს ინტელექტუალური და მეთოდოლოგიური ჰაბის ფუნქციას:

სექტორი	ძირითადი როლი	სისტემური სარგებელი / შედეგი
აკადემიური სექტორი (უნივერსიტეტები / CRANG)	ცოდნის გენერირება, მკვლევართა და პროფესიონალთა მომზადება, მეთოდოლოგიის შექმნა.	მტკიცებულებებზე დაფუძნებული კურიკულუმები, ინოვაციური კვლევები და ექსპერტიზა.
სახელმწიფო სექტორი (სამინისტროები / უწყებები)	საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, პოლიტიკის დაგეგმვა, სერვისების დაფინანსება.	აკადემიურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კანონმდებლობა და მდგრადი რეფორმები.
სამოქალაქო სექტორი და თემი (UNICEF, NGO, მშობლები)	საჭიროებათა იდენტიფიცირება, ადვოკატირება, პრაქტიკული მონიტორინგი.	ბავშვისა და ოჯახის პირდაპირი მხარდაჭერა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

დასკვნა და პერსპექტივები

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობისა და ბავშვის უფლებების ცენტრების აკადემიური ქსელის (CRANG) განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის გარემოს გაძლიერება მოითხოვს ინტეგრირებულ, მრავალდონიან და მუდმივად განახლებად მიდგომას. უნივერსიტეტების მიერ ცოდნის წარმოება, ინტერდისციპლინური კვლევები, ფორმალური და არაფორმალური განათლების მოდერნიზაცია პირდაპირ აისახება პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადების ხარისხზე.

საბოლოოდ, ბავშვის უფლებების ცენტრებისა და ქსელების სტრატეგიული განვითარება არა მხოლოდ უწყობს ხელს საუნივერსიტეტო ინსტიტუციურ გაძლიერებას, არამედ ქმნის მდგრად ეროვნულ მოდელს, სადაც ბავშვის უფლებები აღიქმება როგორც სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი, ხოლო თითოეული ბავშვისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო, ინკლუზიური და ღირსეული გარემო.

ლიტერატურა:

1. **ალდერსონი, პ.** (2016). *ბავშვობის სოციოლოგია და ბავშვის უფლებები.* Routledge.
2. **გაერო.** (1989). *ბავშვის უფლებათა კონვენცია.* გაეროს გენერალური ასამბლეა.
4. **გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი.** (2021). *ზოგადი კომენტარი №25 ბავშვის უფლებების შესახებ ციფრულ გარემოში.* გაერო.
5. **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).** (2020). *ადამიანის განვითარების ანგარიში: ბავშვთა გაძლიერება განათლებისა და პოლიტიკის მეშვეობით.* UNDP.
6. **ევროპის საბჭო.** (2016). *ბავშვის უფლებების სტრატეგია (2016–2021).* Council of Europe.
7. **იუნესკო (UNESCO).** (2020). *განათლების გლობალური მონიტორინგის ანგარიში: ინკლუზია და განათლება.* UNESCO.
8. **იუნისეფი (UNICEF).** (2021). *ბავშვებისთვის უკეთესი ცხოვრების შენება: ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის გლობალური სტრატეგია.* UNICEF.
9. **ლანსდაუნი, ჯ.** (2019). *ბავშვის უფლებები და განათლება: სკოლების გარდაქმნა ინკლუზიისათვის.* International Journal of Children's Rights.
10. **სეივ დე ჩილდრენი (Save the Children).** (2022). *ბავშვთა დაცვისა და ბავშვის უფლებების მმართველობის ანგარიში.* Save the Children.
11. **ჰოუ, რ.ბ., კოველ, კ.** (2010). *განათლება ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის: უფლებებზე დაფუძნებული პერსპექტივა საგანმანათლებლო პოლიტიკაში.* University of Toronto Press.

Nato Kobuladze, Shorena Tkemaladze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: nato. kobuladze@atsu.edu.ge
Shorena.tkemaladze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.21
SJIF 2026: 8.679

The Role of Inter-University Cooperation in Strenhthening the Protection of Children's Rights

Abstract

The protection of children's rights is a fundamental indicator of the development of a modern civilized society and the state. In the context of ongoing educational and social reforms at both global and national levels, there is a growing need for specialized platforms and academic centers that not only generate and disseminate theoretical knowledge but also promote professional and public awareness. In this process, universities assume a special strategic responsibility as research hubs and key institutions for educating and preparing future professionals.

Today, improving the status of children's rights requires a multidisciplinary approach in which the legal, educational, psychological, medical, and social sciences jointly analyze existing challenges. Isolated, sectoral, or discipline-specific approaches are no longer sufficient to overcome complex socio-cultural and institutional barriers. Consequently, establishing close partnerships among universities and developing academic networks are becoming key driving forces behind systemic change.

Keywords: Children's rights, university collaboration, CRANG network, interdisciplinary research, professional development.

რეცენზენტი: პროფესორი ელენე ეკშებეევა

პედაგოგიკა Pedagogic

ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პედაგოგიკის მნიშვნელობა

ნინო სოხაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: nino.sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.22
SJIF 2026: 8.679

სტატიაში აღნიშნულია, რომ პედაგოგიკა, როგორც სხვა მეცნიერებები ფილოსოფიის წიაღში ჩაისახა. ფილოსოფიური ანთროპოლოგია პასუხობს კითხვას რა არის ადამიანი. შეიქმნა ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე დაფუძნებული ახალი პედაგოგიკა, რომელსაც ,,პედაგოგიურ ანთროპოლოგიას“ ეძახიან.

ნაშრომში განხილულია, რა განსხვავებაა პედაგოგიკასა და ანთროპოლოგიურ პედაგოგიკას შორის.

პედაგოგიური ანთროპოლოგია სწავლობს ბავშვის არსს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ფილოსოფიასთან და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასთან. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა პედაგოგიკას წარმოგვიდგენს ადამიანის არსის განხილვას ახლებურად, ანუ მოაზროვნე არსებად. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა პიროვნებას თავისუფალ არსებად მიიჩნევს, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოების წინაშე. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა აცნობს ადამიანს მის საზრისს, მის ადამიანურ ვალს და დანიშნულებას.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფიური ანთროპოლოგია, პედაგოგიური ანთროპოლოგია

საგანმანათლებლო სისტემა მძიმე ჭრილში იმყოფება. აღზრდას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არსებობს აღზრდის შესახებ შემდეგი თეორიები: ნატივიზმი, ემპირიზმი, კონვერგენცია. ამ თეორიებიდან სრულად ვერცერთი ვერ სცემს პასუხს აღზრდის წარმოშობის შესახებ. აღზრდა გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო განყენებული აზროვნება, როცა მან ფიქრი დაიწყო ხვალინდელ დღეზე. ე.ი.როცა გაჩნდა ცეცხლი, ცეცხლის გაჩენამ გააჩინა სირცხვილი. ადამიანებმა დაიწყეს პრიმიტიული სამოსის შექმნა, ტვინის განვითარება, საკვების უკეთ დამუშავება და ნელ-ნელა ადამიანის საზოგადოებაში ჩნდება იერარქიული კიბე, ჩნდება ბატონობის პრინციპი. ეს პრობლემა კარგად აქვს მოცემული ჯემალ ქარჩხაძეს ნაწარმოებში ,,იგი“, სადაც ჯერ კიდევ პრიმიტიულ საზოგადოებაში იკვეთება ინდივიდუალიზმი. იგი ნელ-ნელა, მაგრამ შესამჩნევად სწორდება, ეს არ არის იოლი, ეს იყო ძალდატანებითი, იძულებითი, მაგრამ აუცილებელი .,,იგი’“-ს ცვლილებას ცნობს სხვები და მუქარა მოდის მათი მხრიდან. ასეა

დღესაც, არ უყვართ მოაზროვნე ინდივიდი, ასეთი ადამიანი მათ ერთფეროვნებას არღვევს, შენც გაიძულებს იაზროვნო, სხვაგვარი ადამიანი გახდე. ქარჩხაძის მსგავსი მწერლები იგის მხარეზე არიან. აზროვნების მხარეზე არიან, ,,იგის“ სიძლიერე ეს ქვეყნის ერის სიძლიერეა, რომ ცხოვრება თავისუფლებაა, და თავისუფლება აზროვნების გარეშე არ არსებობს. როგორც ვიცით, პირველი ადამიანი გაჩნდა აფრიკაში და ,,სამხრეთის მაიმუნის“ სახელით არის ცნობილი. აქედან წამოვიდა ნეანდარტალელი. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტს, როცა პირველყოფილმა ადამიანმა დაიწყო კითხვის დასმა. ვითარდება მეტყველება. გერმანიაში შტადელის გამოქვაბულში ნახეს ამის ამსახველი ფაქტები.

აღზრდის პირველი ფორმა ეს იყო მიბაძვა, ჩნდება უთანასწორობა, ჩნდება კერძო საკუთრება და გონებრივი შრომის გამოყოფა ფიზიკური შრომისგან. როგორი იყო ამ პერიოდში სასწავლო პროცესი? ის მიმდინარეობდა ოჯახებში ან საეკლესიო სკოლებში. თემს ჰყავდა ბელადი, რომელიც იყო გამორჩეული თავისი სიბრძნით. ჩნდება პირველი სკოლები, რომლებსაც ედუბა ეწოდებოდა. ეს ხდება შუმერის და აქადის ქვეყნებში. სამწუხაროდ, სწავლა მხოლოდ მდიდრების საკუთრება იყო. ძალიან დიდი მნიშვნელობა მისცა კაცობრიობას ბერძნულმა ფილოსოფიამ. ფილოსოფია, რომელმაც კაცობრიობას ასწავლა აზროვნება, აქ ვგულისხმობთ სოკრატეს, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა ნამდვილ ცოდნას და ცოდნას.

პლატონმა და არისტოტელემ, რომლებმაც დაარსეს ლიცეუმი და აკადემია, რომელიც იყო განათლების მიღების წყარო. ასევე მნიშვნელოვანია ელინიზმი, რომელიც წარმოადგენს ელინური და აღმოსავლური კულტურის ნაერთს. მარკეს კვინტილიანე და მისი ტრაქტატი,,ორატორის აღზრდის შესახებ“დიდი აღიარება მოიპოვა ის იყო ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი.

,,სქოლასტიკური“აღზრდის მიზანი იყო რწმენის და ცოდნის შერწყმა. ცნობილია სარაინდო აღზრდა ანუ შვიდი სარაინდო სიქველის ცოდნა.

პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა იტალიაში XII საუკუნეში, სადაც ასწავლიდნენ შვიდ სარაინდო სიქველეს.

ფრანსუა რაბლე და მისი რომანი ,,გარგანტუა და პანტაგრუელი“აკრიტიკებს სქოლასტიკური განათლება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ,,აღმოსავლური რენესანსი და ქართული რენესანსი რომელიც წინ უსწრებს ევროპულს.

ეს არის მოკლედ ის გზა, რომლიც გაიარა პედაგოგიურმა აზროვნებამ. აღზრდა - განათლება ძალიან აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში და ეს გამოწვეული იყო ტექნიკური რევოლუციითთ. ყველაზე დიდი პრობლემა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არის გაუცხოებული ადამიანი. რატომ უცხოვდება ადამიანი? ტექნიკამ და ადამიანმა ადგილები შეცვალეს, ჰომოსაპიენსი გახდა ფომო-ფაბერად. ადამიანს დაავიწყდა ურთიერთობები, სულიერება, სიახლოვე. ყველაფრის საფუძველი გახდა ფინანსური მოგება, მომხვეჭელობა, ცბიერება და უარის თქმა იმ ქრისტიანულ ღირებულებებზე, როგორიც არის სიკეთე, მიტევება, სულიერი სიმშვიდე, სიყვარული, მშვენიერება. ხელოვნური ინტელექტი კი ხელოვნურ ,,მიღწევებს ‘’ გვპირდება. რით განსხვავდება პედაგოგიკა და ანთროპოლოგია. როგორც ვიცით, პედაგოგიკა სწავლობს ადამიანის აღზრდას, სწავლებას,განათლებას. ეს გახლავთ პედაგოგიკის სამი ძირითადი ცნება, ანუ კატეგორია. ანთროპოლოგია კი სწავლობს ადამიანის არსს, უფრო კონკრეტულად პედაგოგიკა ცდილობს ბავშვს ასწავლოს კითხვა და ცდილობს სხვადასხვა

მეთოდების გამოყენებას. ანთროპოლოგიას კი აინტერესებს ბავშვის შესაძლებლობები, მათი მენტალური, სოციალური, ფსიქოლოგიური მდგომარეობა ამის შესაბამისად იწყებს კითხვის სწავლას.

ანთროპოლოგიური პედაგოგიკა სწავლობს ადამიანის არსს, რომ ადამიანს აქვს მხოლოდ გაცნობიერებული თავისი არსებობა ე.ი. ის აზროვნებს. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა ადამიანს თვლის თავისუფალ არსებად. როგორც სარტრი იტყოდა თავისუფლება ეს არის ადამიანი. საინტერესოა საკითხი ანთროპოლოგია და მსოფლმხედველობა.

არსებობს ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. რა არის მსოფლმხედველობა? მსოფლმხედველობა არის ადამიანის შეხედულება გარე სამყაროზე. ყველა ადამიანს აქვს თავისი მსოფლმხედველობა და ის შეესაბამება მისი განათლების დონე.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია თვლის რომ ადამიანი არის თავისუფალი. როცა ადამიანი ვერ აზროვნებს იქ მთავრდება მისი საზრისი.

ამდენად, თანამედროვე მეცნიერება არის ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, რომელიც სცემს პასუხს რა ვასწავლოთ და ვის ვასწავლოთ.

ლიტერატურა:

1. ასათიანი, ბალანჩივაძე, ,,პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, გამომცემლობა უნივერსიტეტი
2. გ.თევზაძე, ,,ახალი ფილოსოფიის ისტორია“, გამომცემლობა GARPE DIEM
3.ზ.კაკაბაძე, ,,ფილოსოფიური საუბრები“, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“1988 წ.
4.ი.ბასილაძე, ქ.ძოწენიძე, ნ.ჭოხონელიძე, ,,განათლების, სწავლა/ სწავლების და აღზრდის საკითხები“, I ნაწილი, ქუთაისი 2021წ

Nino Sokhadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: nino. Sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.22
SJIF 2026: 8.679

The Significance of Philosophical-Anthropological Pedagogy

Abstract

The article notes that pedagogy, like other sciences, original within the realm of philosophy, philosopical anthropology addresses the question: what is a human being? A new pedagogy, based on philosophical anthropology – referred to as “pedagogical anthropology” – has emerged. The paper examines the difference between pedagogy and anthropological pedagogy.

Pedagogical anthropology studies the essence of the child and maintains a close connection with philosophy and philosopical anthropology

Antrhropological pedagogy presents a new perspective on the essence of the human being – viewing the human as a thinking being. It regards the individual as a free being who bears a great responsibility toward society. Antrhropological pedagogy introduces the human being to their own meaning, their human duty and their purpose.

საკვანძო სიტყვები: philosopical anthropology, Antrhropological pedagogy

რეცენზენტი: პროფესორი ელენე ეკშებეევა

პედაგოგიკა Pedagogic

The Role of Non-Formal Education in Developing Critical Thinking: A Case Study of a Model United Nations Student Club

Khatia Shevardnadze
David Aghmashenebeli University of Georgia
Tbilisi, Georgia
e-mail: (khshevardnadze@gmail.com)

Keso Mumladze
Student, New York University
New York, USA
e-mail: kesomumladze2808@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.23
SJIF 2026: 8.679

This article examines the role of non-formal education in facilitating the practical application and development of critical thinking, using the Model United Nations (MUN) student club at Montclair State University, USA, as a case study. The aim of the study is to analyze the role critical thinking plays in the club's activities, the extent to which it benefits students, and the opportunities that a non-formal educational environment provides for its practical expression. The study adopts a qualitative case study approach. Empirical data were collected through a group oral interview involving 40 club members, during which each participant had the opportunity to express their individual views, as well as through observation of the club's activities. The study focuses on three main dimensions: the significance of the non-formal educational environment, the relationship between formal and non-formal education, and the practical application of critical thinking. The article presents the MUN club as an educational setting in which students explore international issues, evaluate information, consider different perspectives, formulate arguments, and participate in negotiations and decision-making processes.

Keywords: critical thinking, non-formal education, formal education, student club, higher education.

Introduction

One of the major challenges facing contemporary education is the development of students who are capable of thinking independently, critically evaluating information, engaging in reasoned argumentation, and making well-founded decisions in complex situations.

Formal education provides students with theoretical knowledge and conceptual foundations, while non-formal educational environments create opportunities to apply this knowledge in practice. Discussions, group

and individual activities, problem analysis, and collaborative decision-making help students use the knowledge acquired through the learning process in real or simulated situations. Such experiences are particularly important in facilitating the practical application and development of the various components of critical thinking.

